საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ნინო სანდოძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	17	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20
წერის უნარი	17	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	3	5
ქულათა ჯამი	91	100

სახელი, გვარი: ირაკლი ბონდარენკო

თარიღი: 29.05.21

ნინო სანდომე

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - ნინო სანდომის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		კომენტარი
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	**პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლით** უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის - ნინო სანდომის შეფასებისას აღსანიშნავია მის შესახებ მომზადებულ შემაჯამებელ ინფორმაციაში რესპოდენტებისა და რეკომენდატორების მოსაზრებები კანდიდატის შესახებ სადაც ისინი მიუთითებენ კანდიდატის ისეთ თვისებებზე, როგორიცაა: თავმდაბლობა, მოსმენის უნარი, პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი, პუნქტუალურობა და შრომისმოყვარეობა, პატიოსნება, თავდაჭერილობა. რეკომენდატორები არ უთითებენ კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებზე.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

		დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და სამართლიანობის მახასიათებლით შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი - ნინო სანდოძე არის პრინციპული და მიუკერძოებელი. გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებისათვის საჭირო პიროვნული და პროფესიული უნარები. მის შესახებ ხელთ არსებული ინფორმაცია არ იძლევა ნინო სანდოძის პოლიტიკური ან სხვაგვარი ნიშნით მიუკერძოებლობის ეჭვქვეშ დაყენების საფუძველს. **პიროვნული და პროფესიული ქცევის კუთხით** შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ ნინო სანდოძე როგორც თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოქმედი მოსამართლე თავდაჭერილი და ემოციურად გაწონასწორებული პიროვნებაა. კოლეგებს და სასამართლო პროცესის მონაწილეებს ეპყრობა თავაზიანად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის და ასევე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სტრუქტურული ქვედანაყოფის - სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტისა და მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ კანდიდატის შესახებ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ნინო სანდოძის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა, კანდიდატი მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა. **პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის კუთხით** შეფასებისას გათვალისწინებული იქნა მისი საქმიანი და

			მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში და უნდა აღინიშნოს, რომ ნინო სანდოძე მოსამართლე კოლეგებში სარგებლობს გაწონასწორებული ადამიანისა და მაღალკვალიფიციური იურისტის სახელით. **ფინანსური ვალდებულებების კუთხით** კანდიდატის შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, აქვს მიმდინარე სესხი დადებითი საკრედიტო ისტორიით, კანდიდატს საკუთრებაში აქვს საცხოვრებელი ბინა (54,69 კვ.მ. - 100%); ქ.რუსთავში. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. ყოველივე ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი - ნინო სანდოძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	17	20	**სამართლის ნორმების ცოდნის კუთხით** შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატის - ნინო სანდოძის მატერიალური და პროცესუალური სამართლის ნორმების

			ცოდნის დონე არის მაღალი. აგრეთვე აღსანიშნავია მის მიერ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ნორმების ცოდნა. ნინო სანდოძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო და პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდები. გასაუბრებისას ნინო სანდოძემ პასუხებს ძირითადად გასცა სწორი და თანმიმდევრული პასუხები, თუმცა ხარვეზები კონსტიტუციური სამართლის მიმართულებით მაინც გამოვლინდა.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20	**სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის კუთხით** შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ გამოტანილი ხუთი სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც დამაჯერებლად დასაბუთებულია. შესწავლილი გადაწყვეტილების დასაბუთებისას მოსამართლეს ყურადღების მიღმა (ანუ განუხილველად) არ აქვს დატოვებული მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები და თანმდევი მტკიცებულებები. ფაქტობრივ გარემოებებს ადექვატური სამართლებრივი შეფასება (კვალიფიკაცია) აქვს მიცემული. უნდა ითქვას, რომ გადაწყვეტილება ეფუძნება სამართლის არსებითად სწორ აღქმას.
წერის უნარი	17	20	**წერის უნარის კუთხით** შეფასებისას კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებების გაცნობის შედეგად დავრწმუნდი, რომ მოსამართლე საკუთარ მოსაზრებებს აყალიბებს ენობრივი და პროფესიული თვალსაზრისით გამართულად. მისი წერილობითი მსჯელობა ძირითადად ლაკონური და ლოგიკურია. ნინო

			სანდოძემ წარმოადგინა მის მიერ სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილი 5 განაჩენი. მათი შესწავლით დგინდება, რომ კანდიდატი ზოგჯერ ტექსტში უშვებს ტექნიკურ შეცდომებს, ასევე მსჯელობის დროს იყენებს რთულ წინადადებებს, რაც ართულებს მის აღქმას.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15	**ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით** შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი მეტყველებს გარკვევით და მშვიდად. სამართლის მატერიალურ და საპროცესო ნორმათა შინაარსს გადმოსცემს ადექვატურად. ნინო სანდოძეს გააჩნია სხვათა აზრის, მათ შორის განსხვავებული აზრის მოთმინებით და ყურადღებით მოსმენის უნარი. მიმაჩნია, მის მიერ გამოთქმული ზეპირი მოსაზრებები გარშემომყოფთათვის ადვილად აღსაქმელია.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	**პროფესიული თვისებების, მათ შორის სასამართლო დარბაზში ქცევის კუთხით** შეფასებისას უნდა ითქვას, რომ ნინო სანდოძე, როგორც თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოქმედი მოსამართლე და შესაბამისად, სამოსამართლო გამოცდილების მქონე, სასამართლო პროცესის მონაწილე მხარეებს ეპყრობა ერთგვაროვნად კორექტულად, სასამართლო პროცესს წარმართავს თავდაჯერებულად, მშვიდად და სამოსამართლო ეთიკის ნორმების სრული დაცვით. მხარეებს აძლევს მათი მოსაზრებების გამოთქმის თანაბარ შესაძლებლობებს, სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას ზედმიწევნით იცავს სხვადასხვა საპროცესო ეტაპისათვის დაწესებულ საპროცესო სპეციფიკას. სამსახურებრივი მოვალეობების

			შესრულებისას აქვს მოსამართლის შესაფერისი იერსახე. რაც შეეხება ნინო სანდოძის მიერ საპროცესო ვადების დაცვას, მის შესახებ მომზადებული შემაჯამებელი ინფორმაციის მონაცემები შემდეგია: საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა: ვადის დაცვით -100%. გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა: ვადის დაცვით -100%. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა: უცვლელი - 96,3%, შეცვლილი -3,7% საანგარიშო პერიოდში (986 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 284 საქმე, დღეში საშუალოდ 0,3 საქმემდე. ნინო სანდოძე არის გამოცდილი მოსამართლე.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5	**აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის კუთხით** შეფასებისას უნდა ითქვას, რომ კანდიდატი ღიაა სიახლეების მიმართ, და ცდილობს პროფესიული და თეორიული საქმიანობის შეთავსებას, რაც დადებითი მახასიათებელია და თავისთავად მოწმობს იმას, რომ მოსამართლე დიდ ძალისხმევას ახმარს პროფესიულ თვითგანვითარებას. ნინო სანდოძემ მონაწილეობა მიიღო შემდეგ სასწავლო-პროფესიულ ღონისძიებებში: - შესავალი ევროკავშირის სამართალში და ადამიანის უფლებათა სტანდარტები ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში. - მასწავლებლისთვის დისტანციური სწავლების საშუალების გამოყენების შესახებ. - ზრდასრულთა სწავლების მეთოდოლოგია.

			- ტრენერთა ტრენინგი კიბერდანაშაულის თემაზე. - ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ. - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება მათ შორის არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდიკა და სხვ. თუმცა ბოლო პერიოდში შესამჩნევია პროფესიული წვრთნის მიმართულებით გარკვეული პასიურობა.
პროფესიული აქტივობა	3	5	**პროფესიული აქტივობის კუთხით** შეფასებისას უნდა ითქვას, რომ კანდიდატი - ნინო სანდოძე აქტიურად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში. თუმცა, ნინო სანდოძე არ აქტიურობს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის კუთხით.
ქულათა ჯამი	91	100	

სახელი გვარი: ირაკლი ბონდარენკო

ხელმოწერა:

თარიღი : 29.05.21